F567 ᲛᲐᲠᲯ3156

ᲘᲓᲘᲓᲔ ᲛᲐᲠᲐᲓ, ᲩᲔᲛᲝ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲕ!

ᲡᲐᲥᲗᲐᲣᲚᲝᲡ ᲮᲔᲓᲘ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-9 ᲬᲔᲚᲘ
№ 7 (125)
ᲘᲕᲜᲘᲡᲘ,
1965 ᲬᲔᲚᲘ



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ.

საქართველოში

მკურნალი ღვინა

კურორტ გაგრაში, შავი ზღვის ნაპირას შენდება ახალი წყალსამკურნალო. 250.000-ზე მეტ სხვადასხვა პროცედურას, 170 ათას აბაზანას მიიღებენ დამსვენებლები ყოველდღე ამ კომფორტულ შენობაში.

სხვადასხვა ტემპერატურის გამთბარი ზღვის წყალი დაავადების ხასიათისა და დიაგნოზის შესაბამისად შესანიშნავი ფონია წიწვოვანი, რადონის, იოდ-ბრომიანი აბაზანებისათვის. ბევრმა, ვისაც ჰქონდა სახსრების ქრონიკული დაავადება, ჰიპერტონია, ცხიმოვანი ცვლის დარღვევა, გამოსცადა გაგრის წყალსამკურნალოთა ზღვის აბაზანების სამკურნალო თვისებები.

კარგ შედეგებს იძლევა ჰიპერტონიის მკურნალობის დროს წიწვოვან-ზღვის აბაზანები. მეტ წილ შემთხვევებში 7-8 აბაზანის მიღების შემდეგ ჰიპერტონიით დაავადებულებს უმცირდებათ არტერიული წნევა. წყალსამკურნალოებს კიდევ ერთი უპირატესობა აქვთ: ასობით დამსვენებელი, ვისთვისაც აკრძალულია ზღვაში ბანაობა, აქ ზღვის აბაზანებს იღებს მედპერსონალის მეთვალყურეობით.

აქ შეიმუშავეს ჰიდროპათიური პროცედურებით, აგრეთვე ზღვის იოდ-ბრომიანი აბაზანებით ნერვული სისტემის მკურნალობის კურსი, რომელიც დიდად ეფექტიანი გამოდგა. ზღვის წყლის შარკოს შხაპი აგრეთვე ეფექტიანია ცხიმოვანი ცვლის დარღვევის სამკურნალოდ.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ზღვის აბაზანების მნიშვნელობა მკურნალობის იმ მეთოდების კომპლექსში, რომლებსაც იყენებენ კურორტის ჯანმრთელობის კერებში. მათ იყენებენ მაცესტის ტიპის ნახშირყანგის, თერმულ, წყალბადგოგირდოვან აბაზანებთან, წყალქვეშა მასაჟებთან ერთად.

სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა!..

დიდი რეზერვები

„კოლხეთი“ — ასე ეწოდება ახალ საბჭოთა მეურნეობას, რომელიც კოლხეთის დაბლობის ამოშრობილ მიწებზე შეიქმნა. ეს არის კომპლექსური მეურნეობა, სადაც მოიყვანენ ყველა სუბტროპიკულ კულტურას, რომელიც კი საქართველოში ხარობს. ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს, დაფნის, ხურმის, ბამბუკისა და სხვა ძვირფას მცენარეთა პლანტაციები საბჭოთა მეურნეობაში 2.000-ზე მეტ ჰექტარს დაიკავებს.

კოლხეთის 220 ათასი ჰექტარი ნაყოფიერი მიწა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების უდიდესი რეზერვია. მაგრამ ჯერჯერობით ამოშრობილია ფართობის მხოლოდ მესამედი, ამასთან მრავალწლოვანი და ერთწლოვანი კულტურებისათვის 40 ათასამდე ჰექტარი. ამჟამად დიდი მუშაობა წარმოებს ამოშრობილი მიწების სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში გადაცემისათვის. წყალსარინი არხების, კოლექტორების გაწმენდას, ბუჭქნარის ამოძირკვას, მდინარეთა ნაპირების მოსწორებას რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამი მექანიზებული კანტორის კოლექტივები აწარმოებენ.

კოლხეთის დაბლობის ბუნებრივი პირობები მეტად ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. ჩაის, დაფნის, სამინდის, ხილის უზარმაზარი მოსავალი მოჰყავთ მეურნეობებს მიწებზე, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ჭაობებით იყო დაფარული. ასეთია, მაგალითად, ინგირის, სიდის, ტეხურის საბჭოთა მეურნეობები, მახარაძის, ხობის რაიონების ზოგიერთი კოლმეურნეობა, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საცდელი ნაკვეთები.

ამოშრობილი მიწების ნაყოფიერად გამოყენებაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ხელს უწყობენ მეცნიერები. მეცნიერთა რეკომენდაციით ჩაის გაშენება წარმოებს ნახევრადსფერულ კვლებში. ეს კარგად იცავს მცენარეთა ფესვის სისტემას ზედმეტი ტენით დაზიანებისაგან. ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მუშაკები იყენებენ ამოშრობის პროგრესულ მეთოდს — სხვადასხვა სახეობის სალესენაქე არხების გაყვანას. გამოყენებულია იმ მცენარეთა წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური საშუალებანი, რომლებიც ანაგვიანებენ წყალსარინ არხებს.

კოლხეთის მთელი დაბლობის ამოშრობისა და ათვისების შემდეგ საბჭოთა მოგვცემს ორჯერ მეტ სუბტროპიკულ პროდუქციას, ვიდრე ახლა.



ეს სურათი ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტმა რაჭაში გადაიღო. აქ თქვენ ხედავთ რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატის მეტალური დარიშხანის მეაპარატეებს სულიკო გოგლიჩიანს და ვენერა სუთიძეს.

სამგორის მიწებზე

აბიბინებულია სამგორის ველი. სარწყავმა არხმა გამოაცოცხლა გვალვიანი მიწა, ქარიშხა და მზით გადამწვარი. აყვავდა მინდვრები, ბაღები, ვენახები. საუკუნეთა განმავლობაში მიტოვებული ათასობით ჰექტარი მიწა ოაზისად გადაიქცა, შეიქმნა დიდი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები.

სარწყავ მიწებზე შექმნილი 10 მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა ყოველწლიურად ამზადებს 200 ათასამდე ცენტნერ კომბოსტოს, პომიდორს, ბადრიჯანს, კიტრს, სტაფილოს, ჭარხალს, ხახვს, ბოლოკს, სხვადასხვა სუფრის მწვანილს. აქაურ ბაღჩებში მოყავთ გემრიელი ტკბილი ნესვი, საზამთრო. თბილისის ზღვის ნაპირებზე ასობით ჰექტარი ვენახი გაშენდა, სადაც ხარობს მშვენიერი სუფრის ჯიშის ყურძენი. საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმებს ყავს დიდად პროდუქციული ძროხები, გასასუქებელი პუნქტები ხორცის კომბინატში გზავნიან ასობით სულ პირუტყვს.

ერთ-ერთი შესანიშნავი მეურნეობა გახდა სამგორის სანაშენე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა. აქ 4.100 ჰექტარი უკავია ჭვავის, ქერის, სიმინდის, სხვადასხვა საკვები კულტურის ნათესებს. საგულისხმოა, რომ ეს მიწები მორწყვამდე უნაყოფო იყო. დიდი საკვები ბაზა ხელს უწყობს საბჭოთა მეურნეობას გაასუქოს რამდენიმე ათასი სული მოზარდეული, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ყოველწლიურად სახელმწიფოს ჩააბაროს 3.500-4.000 ცენტნერი ძროხის ხორცი.

რვა წლის წინათ მოგვცა პირველი პროდუქცია სამგორის სანაშენე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობამ. ახლა იგი ერთ-ერთი უდიდესი სპეციალიზებული მეურნეობაა რესპუბლიკაში, რომელიც მილიონობით კვერცხს, ასობით ტონა ხორცს აწარმოებს.

...სარწყავი არხის გასწვრივ მივდივართ. ორივე მხარეს ხშირი ბალახია, მოჩანს ბაღები, ვენახები.... ცხოვრება ჩქეფს სამგორში. ოდესღაც მკვდარ ველს ახლა სიხარული მოაქვს ადამიანებისათვის.

სოფელი სახეს იცვლის

ტყიბული. ორპირი ერთ-ერთი დიდი სოფელია ტყიბულის რაიონში. უკანასკნელ წლებში სოფელმა ქალაქის სახე მიიღო. აქ არის ჩაის ფაბრიკა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში უმაღლესი ხარისხის პროდუქციას უშვებს. სოფელში არის ახალი საშუალო სკოლა, საავადმყოფო, აფთიაქი, ფოსტა, მაღაზიები, სასადილო, თონე, კლუბი, ბიბლიოთეკა და სხვ. გასულ წელს კოლმეურნეობამ ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლი ააგო. ამას წინათ მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლაც გაიხსნა.

ჰიაშურა. თვალწარმტაცია სოფელ ხრეითის ბუნება. ნაძვისა და ფიჭვის, წიფლისა და შქერის გაუვალი ტყეები, ცივი, ანკარა წყაროები, გამაცოცხლებელი სუფთა ჰაერი ისეა შერწყმული ერთმანეთთან, რომ იფიქრებ, ჯანმრთელობის კერისათვის იგი ბუნებას საგანგებოდ შეუქმნიაო.

ახალმა ცხოვრებამ სახე უცვალა მთის სოფელ ხრეითს. ვიწრო, ტალახიანი შუკები ფართო შარაგზებმა შეცვალა, ჭოხმახები კოხტა ოდებმა და ორსართულიანმა სახლებმა. სოფელი ელექტროფიცირებულია. მას ამშვენებს სამსართულიანი საშუალო სკოლის, საავადმყოფოს, კულტურის სახლის და სხვა დაწესებულებათა შენობები.

მარნეული. სოფელი ჩაღანი უკანასკნელ ხანებში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და კეთილმოწყობილი სოფელი გახდა. აქ აშენდა ბოსტნეობა-მერძევეობის მებაღეობის მეურნეობის კანტორა, სოფლის კულტურის სახლი, საავადმყოფო, სკოლა, საბავშვო ბაღი და ა. გასულ წელს მოასფალტდა და მთავარი ქუჩა, მის ორივე მხარეს დაირგო ხეები და ბუჩქები. სოფელში ვრია ორსართულიანი მაზი საცხოვრებელი სახ-

1 ივნისი ბავშვთა დაცვის დღეა

ნორჩი თაობის ცხოვრების კონტრასტები

სახალხო განათლების სოციალურ უზრუნველყოფაზე, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის დახმარებაზე საბჭოთა კავშირში სახელმწიფო ბიუტეჯით გათვალისწინებულია 37,4 მილიარდი მანეთი. ეს 4,3 მილიარდი მანეთით მეტია იმაზე, რაც 1964 წელს იყო გათვალისწინებული.

დაბადებიდან განათლების დასრულებამდე ჩვენი ბავშვები სარგებლობენ სახელმწიფოს მუდმივი მზრუნველობით. სახელმწიფოს წელიწადში ერთი ბავშვის შენახვა ბაღსა და ბაგაში 300-400 მანეთი უჯდება, სკოლა-ინტერნატში — 900 მანეთამდე, ინსტიტუტში სტუდენტის სწავლებაზე ყოველწლიურად იხარჯება 820-850 მანეთი.

მეფის რუსეთში სულ 9 ბავშვთა და ქალთა კონსულტაცია იყო. ჩვენს ქვეყანაში მათმა რიცხვმა 20 ათასს მიაღწია. ქალებისა და ბავშვებისათვის შექმნილ სამკურნალო და პროფილაქტიკურ დაწესებულებებში 100 ათასზე მეტი ექიმი მუშაობს.

საბავშვო ბაგებსა და ბაღებში გამოცდილი პედაგოგებისა და ექიმების მუდმივი მეთვალყურეობით იზრდება 7 მილიონზე მეტი ბავშვი (1940 წელს 2 მილიონი ბავშვი იზრდებოდა, 1965 წელს კიდევ აშენდება საბავშვო ბაღები და ბაგები (500 ათასი ადგილით) და ასეთ დაწესებულებებში ბავშვების რიცხვი 7.700 ათას მიაღწევს.

საბჭოთა ბავშვების განკარგულებაშია სამი ათასამდე პიონერთა სასახლე და სახლი, თითქმის იმდენივე ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა სადგური. სასკოლო ბიბლიოთეკებთან ერთად, ბავშვებისათვის სპეციალურად შექმნილია 5 ათასი ბიბლიოთეკა და სამკითხველო.

ბავშვებისათვის განკუთვნილია 150 ათასზე მეტი სასპორტო ნაგებობა-სტადიონი და მოედანი, საფეხბურთო მოედანი, საფეხბურთო მინდორი, ტანვარჯიშის დარბაზი.

1964 წლის ზაფხულში 6500 პიონერულ ბანაკში 5 მილიონამდე ბავშვმა დაისვენა.

საბჭოთა საბავშვო გამომცემლობები—„საბავშვო ლიტერატურა“, „პატარა“, „ნაკადული“ და სხვები—ბავშვებისათვის ყოველწლიურად 200 მილიონ ეგზემპლარზე მეტ წიგნს ბეჭდავენ. 1964 წელს ბიბლიოთეკებმა 400 მილიონი წიგნი გასცეს.

ყოველ ზაფხულს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 6 ათასი პიონერული ბანაკი იხსნება. საბავშვო ბაგებში ადგილების რიცხვი 1950 წლიდან 1964 წლამდე 9057-იდან 9933 ათასამდე გაიზარდა.

230 ათასამდე ნორჩი უნგრელი მოქალაქე იზრდება საბავშვო ბაღებსა და ბაგებში. ბავშვებისათვის გახსნილია 60 პიონერთა სახლი, ბევრი საბავშვო ბიბლიოთეკა, პარკი, სასპორტო მოედანი.

ძველ ბულგარეთში მხოლოდ 4 საავადმყოფოში იყო საბავშვო განყოფილება. ამჟამად სახალხო ბულგარეთის საავადმყოფოების 120 საბავშვო განყოფილებაში 3500-ზე მეტი საწოლია. ბევრ ქალაქში კი სპეციალური ბავშვთა საავადმყოფოა.

1937-1938 სასწავლო წელს პოლონეთში სასკოლო ასაკის მილიონამდე ბავშვი არსად არ სწავლობდა. დღეს ყველა ნორჩი პოლონელისათვის ხსნილია სკოლის გზა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი რუმინეთში 1948 წელთან შედარებით დაახლოებით 60 პროცენტით გაიზარდა, ხოლო სტუდენტთა რიცხვი—ორჯერ.

მონღოლეთში 400-ზე მეტი სკოლაა. ყოველ 40 მოსახლეზე უმაღლესი ან საშუალო განათლების მქონე ერთი სპეციალისტი მოდის.

ამჟამად კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში 6700-ზე მეტი ბაგა და 5800 საბავშვო ბაღია. შვიდი წლის ყველა ბავშვისათვის შემოღებულია სავალდებულო სწავლება.

იუნესკოს მონაცემებით, მსოფლიოში სასკოლო ასაკის ბავშვთა 50 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი 90 პროცენტს აღწევს. თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასეთ დიდად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში, 3 მილიონამდე მოქალაქე წერა-კითხვის უცოდინარია, ხოლო დაახლოებით 8 მილიონმა სანახევროდ იცის წერა-კითხვა.

ლათინურ ამერიკაში (სადაც 70 მილიონი წერა-კითხვის უცოდინარია) 30 მილიონი ბავშვიდან მხოლოდ ნახევარი დადის სკოლაში, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში — მხოლოდ 20 პროცენტი.

ქართველმა სტუდენტმა ამოხსნა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკური ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა **თეიმურაზ ვეფხვაძემ ამოხსნა ცნობილი ფრანგი მათემატიკოსის ლიუვილის ფორმულა,** რომელიც ფრანგმა სპეციალისტმა ასი წლის წინათ დაუმტკიცებლად გამოაქვეყნა.

გამოჩენილი სპეციალისტების ძრავალგზის ცდა — ეპოვნათ ხსენებული ფორმულის დამტკიცება— უშედეგოდ რჩებოდა, და აი, ნიჭიერმა სტუდენტმა გეჯითი, დაუღალავი, სისტემატური და შეუპოვარი მუშაობით, საგნისადმი სიყვარულით შეძლო გამოენახა გზა, რომლისაც ათეულ წლობით ეძებდნენ მეცნიერები. ფორმულა, რომელიც მან მიიღო, რიცხვთა თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შენაძენია.

„უკვდავების წყალი“

არც ისე დიდი ხნის წინათ სოხუმის საკურორტო ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოაჩინეს თერმული წყაროები. დღისათვის „უკვდავების წყლის მაძიებლებმა“ უკვე 9 ჭაბურღილი გაბურღეს. ეს ნიშნავს მილიონობით ლიტრ სამკურნალო წყალს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის მუშაკები, პრაქტიკოსი ექიმები სისტემატურ დაკვირვებას აწარმოებენ სოხუმის მოქმედ თერმულ წყლებზე. ახლა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აზოტ-თერმული და წყალბადგოგირდოვან-მეთანიანი წყალი უკიდურეს ემსახურება ადამიანის ჯანმრთელობას. სწორედ მათ ბაზაზე შეიქმნა ბალნეოლოგიური სამკურნალო „სოხუმი“.

კომპლექსი: ბალნეოსამკურნალო „სოხუმი“ — ქალაქის წყალსამკურნალო — ზღვის პლაჟი დამსვენებლებს საყრდენ-სამოძრაო სისტემის, გულის სისხლძარღვების, გინეკოლოგიურ, კანის დაავადებათა, პერიფერიული ნერვული სისტემის წარმატებით მკურნალობის შესაძლებლობას აძლევს.

მკურნალობენ გულს

ახალი ათონის სიამაყეა სამედიცინო პლაჟი. სწორედ აქედან იწყება დავადებული გულის მკურნალობა. თვით ბუნება, რომელიც აქ გამოირჩევა მთისა და ზღვის ჰავის იშვიათი შეხამებით, ხელს უწყობს გულის მკურნალობას. კურორტის მუშაკებმა გამოიყენეს მიკრორაიონის კლიმატური პირობები და პირველად გააშენეს სანატორიუმის პლაჟი სამ სამკურნალო ზონად: ჰელიოთერაპია, გაფანტული რადიაცია, კვიპაროსების ჩრდილში ჰაერის აბაზანები. სანატორიუმ „აფხაზეთში“ წლითიწლობით სრულყოფილი ხდება ჰიპერტონიით, ათეროსკლეროზით, რევმატიზმით დაავადებულთა მკურნალობის მეთოდიკა. განსაკუთრებით საგრძნობია შედეგები ჰიპერტონიულ დაავადებასთან და გულის სისხლძარღვების სისტემის ნევროზთან ბრძოლაში. მკურნალობის კურსის შემდეგ ნორმალური ხდება არტერიული წნევა, უმჯობესდება საერთო მდგომარეობა. სანატორიუმში შეიმუშავეს კომპლექსური მკურნალობის ეფექტიანი მეთოდი. კომპლექსში შედის კლიმატომკურნალობა, დიეტა, სამკურნალო ტანვარჯიში და სიარული, ფიზიოთერაპიული პროცედურები და მედიკამენტები. ჰიპერტონიული დაავადების დროს სამკურნალო პროცესში, როგორც წესი, შეაქვთ რადონის აბაზანები.

კონგრესის შესახვედრად



მიმდინარე წლის შემოდგომაზე საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოში გაიმართება მეღვინეთა მსოფლიო კონგრესი — ღვინის, კონიაკისა და შამპანურის დეგუსტაცია. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობის 40-ზე მეტი ქვეყანა.


რესპუბლიკის მევენახეებმა და მეღვინეებმა გაახარეს სამზადისი კონგრესის შესახვედრად. საუცხოო სასმელის დაყენების ოსტატთა მსოფლიო ფორუმისათვის მონდომებით ემზადება მევენახეობის ყველა მეურნეობა, მეღვინეობის ყველა საწარმო.

ღვინის ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის, წარმოების მაღალი კულტურისათვის ბრძოლის ნიშნით ემზადებიან კონგრესისათვის თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოს ღვინის ქარხნის მუშაკები. ეს საწარმო მაღალხარისხოვან მასალას აწვდის ჩვენი ქვეყნის შამპანურის წარმოებას. მიმდინარე წელს, მაგალითად, თბილისის, ლენინგრადის, რიგის, ვოლგოგრადის შამპანურის ქარხნები 180 ათასამდე დეკალიტრ ღვინო-მასალას მიიღებენ.

სურათზე: სოფელ ზედა საზანოს ღვინის ქარხნის გამგე ივანე აბესაძე და მეღვინე ოთარ ბარდაველიძე ამოწმებენ გასაგზავნად გამზადებული ღვინო-მასალის ახალ პარტიას.

მოსე გოგიბერიძე

ქართველური განცდა სამშობლოს სიყვარულისა



მოსე ივანეს-ძე გოგიბერიძის (1897-1949) არქივიდან წერილი „ქართული სახლის ფილოსოფია“ ჩვენ, — ავტორის ნების ამსრულებელმა, — გამოვაქვეყნეთ გაზეთ „სამშობლოს ხმის“ 1965 წლის აპრილში.

იმავე არქივიდან გთავაზობთ კიდევ ერთ წერილს.

მისი ავტორის ბიოგრაფიას, თუ მკითხველი ამით დაინტერესდება, ისიც ახსოვს ჩვენ მიერვე გამოცემულ წიგნში „მ. გოგიბერიძე. რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები“ (თბილისი, 1961 წ.). აქვე მკითხველი გაეცნობა იმავე ავტორის პატრიოტულ წერილებს რუსთაველსა და ბარათაშვილზე, ზ. ფალიაშვილსა და ი. ნიკოლაძეზე და ქართული კულტურის მთელ რიგ სხვა საკითხებზე.

მ. გოგიბერიძე დაიბადა საქართველოში (გურია, სოფელი ქვენობანი). საშუალო განათლება სამშობლოშივე მიიღო და შემდეგ უნივერსიტეტი დაამთავრა გერმანიაში, სადაც ცხოვრობდა 1918-1922 წლებში. გერმანიაშივე მოიპოვა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, შეეძლო იქვე დარჩენილიყო, მაგრამ მაშინვე სამშობლოს დაუბრუნდა და მოღვაწეობდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

უცხოეთში ცხოვრებისა და სხვა ვითარების გამოც მისთვის ცნობილი იყო სამშობლოს გარეთ მყოფი ქართველის ის განცდა, რაზეც ავტორი აქ გვესაუბრება.

„პრელუდიები“, საიდანაც წინამდებარე ნაწყვეტს ვაქვეყნებთ, დაწერილია 1946-1947 წლებში.

პროფ. იოსებ მეგრელიძე.

ქართველური სიყვარული თავისი სახლისადმი არის სიტყვით ძნელად ასაწერი მეტაფიზიკა, რომლითაც ქართველი კაცი განირჩევა სხვა ეროვნების ადამიანისაგან.

ქართველს არ შეუძლია იგრძნოს სრული სიტკბოება და სულიერი, შინაგანი სიამოვნება უცხოეთში ცხოვრების დროს. მას ფსიქიურად არ შეუძლია სხვა ქვეყნის მოქალაქე გახდეს. მაგალითად, გამოთქმა „ამერიკელი ქართველი“ არის ქიმერა.

ქართველი კაცი ქართველად იმდენად გრძნობს თავს, რამდენად იგი თავის თავს საქართველოს ერთ-ერთ სოფელში, თუ ქალაქში რომ სახლი დგას, იმის მცხოვრებად თვლის. უცხოეთში იგი რჩება სტუმრად, მისი სული იქ არ „შინაურდება“, შინაარსით იგი თავის მამაპაპისეულ კერასთან არის.

როცა ქართველი ცხოვრობს უცხო ქვეყანაში, საკრამენტი მისი სულისა მარად დაბორიალობს თავის კარ-მიდამოს ირგვლივ მამა-პაპათა ტრადიციულ მამულში. ქართველი უცხოეთში, თუნდაც თავის სასახლეში, მუდმივ სიზმრად ნახულობს თავის მშობლიურ ფაცხას, კოხტა ოდას, თუ ვეება დარბაზს, აგებულს წინაპრის მიერ. ეს სულიერი განწყობა პირუკმოდ არ მოქმედებს; თავის „ზამთრით თბილსა და ზაფხულით გრილს ფაცხაში“ (აკაკი) რომ სძინავს, მის სიზმარს არ აწუხებს სილუეტები ციხეკოშკები მსრბოლელი თუნდაც საკუთარი სასახლისა უცხოეთში. მეტიც, მას არც პალაცო ბარბერინის მშვენიერება ეზმანება ახლა, განცვიფრებული რომ ათვალიერებდა ლეგენდარულ სასახლეთა მსოფლიო მუზეუმში — რომში.

ქართველი უცხოეთშიც თავის კუთხეს, თავის კარ-მიდამოს, თავის სახლს, მოკლედ საქართველოს განიცდის, სულიერად ის საქართველოში რჩება უცხოეთში ცხოვრების დროსაც.

ზუსტად თუ ვიტყვით, არასდროს არც ერთს ქართველს მთელი ბუნებით და უშუალო ადამიანური მიდგომით უცხოეთში არ უცხოვრია; მას არ ძალუძს უცხო ურთიერთობის განცდა, უცხო ჰაერის თავისად წოდება. უცხოეთი მისთვის არის მხოლოდ უცხოეთი.

ამიტომ ქართველი არც ნებით და არც უნებლიეთ უცხოეთში უშუალო ადამიანური ცხოვრებით არ ცხოვრობს. უცხოეთში იგი არის დროებით, უღრმესი საკრამენტი მისი სულისა საქართველოშია.

უცხოეთში ქართველი კაპიტალს რომ შეიძენს, იმას კი არ ცდილობს, შეძენილი გაამრავლოს და იქ ქონების მაგნატი გახდეს, არამედ შეძენილი მას სურს საქართველოში გადაიტანოს და იმათ აჩვენოს, რომელთა შორის მის მამასა და პაპას მისი მოდგმისათვის ადამიანობა უანდერძებია.

უცხოეთში მეფობას ქართველს თავის სოფელში აზნაურობა ურჩევნია. თუ შემთხვევამ იგი უცხოეთში მეფედ გახადა, ადამიანური ზვიადობის და მეობის უპირატესობის შეგნებას უფრო მაშინ განიცდის, ქართველს რომ შეხვდება და თავის მდგომარეობას დაანახვებს.

გვი ამილახვარმა ნახევარი ცხოვრება ნადირ-შაჰის კარზე დაჰყო, მაგრამ სურამის ციხეში იჯდა მისი ოცნება უწყვეტლივ და ქართლის წალკოტს ხედავდა მისი თვალები მარად.

გიორგი სააკაძე სარდალი იყო სპარსეთის არმიისა და კარისკაცი შაჰ-აბაზისა, მაგრამ სულიერად თავის ნოსტალგიაში ცხოვრობდა და მისი ციხის კედლების აღდგენაზე ოცნებობდა. სარდლობა შაჰინ-შაჰის არმიისა მისთვის საშუალება იყო სანუკვარი მიზნის განხორციელებისათვის.

საკაძის ტიტანური სულის მღელვარე სტიქიონი მას მარად მოუწოდებდა გამხდარიყო პირველი კაცი ქართლის თავადებს შორის და არა ირანში დიდკაცობა იყო მისი ოცნება. ირანის ლომი მას სჭირდებოდა ქართლის პირველ დიდებულად გახდომისათვის, ნოსტალგიაში ციხის აღდგენისა და იქ საკუთარი ოჯახის არსებობისათვის. უამისოდ მისთვის ყოველივე დიდება იყო მხოლოდ ამაოება.

ეს მეტაფიზიკური სიყვარული ქართველი კაცისა თავისი წარმომშობი კერის და სახლის მიმართ, ეს უნიკალური განცდა ქართველის მიერ სამშობლოს სიყვარულისა არ შეუცვლია არც ინდუსტრიისა და კომუნიზმის ეპოქას. ამის გამო ეროვნული სუბსტანცია ჩვენი ხალხისა უკვდავი აღმოჩნდა და, ვფიქრობთ, რომ ეს არის საწინდარი ქართველი ხალხის მომავლისა, ვარგისიანობისა და გადარჩენისა ყოველ დიდ ისტორიულ კატაკლიზმების ბობოქრობის დროს.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ მეტაფიზიკურმა თავისებურებამ ქართველი კაცის სულიერი არსისა, ამ სპეციფიკურმა და თითქმის მხოლოდ ქართველისათვის განკუთვნილმა სიყვარულმა წარმომშობი მიწისა და აღმზრდელი კარმიდამოსადმი, თუ სახლის მიმართ, გასჭედა ის ისტორიულად ცნობილი გადაულახავი ეროვნული გამძლეობა ქართველობისა, რომელმაც ძალა მისცა რიცხობრივად მცირეოდენ ერს ამოდენი სიმტკიცით და გმირობით ისტორიული ხანის სამი ათასწლეულის მანძილზე შეენარჩუნებინა ის უმშვენიერესი ზეგანი დედამიწისა, რომელიც გადაჭიმულია კავკასიონის მთაგრეხილებიდან შავი ზღვის ნაპირებამდე, დარუბანდის კარებიდან კლდე ციხის კარებამდე, რომლის ბარსა და მთაში ათასეული წლების წინათ დამკვიდრდა მისი უსათუოდ მძლე და შეუპოვარი წინაპარი, — ფუძემდებელი ქართული ეროვნული სუბსტანციისა.

ამ მხრივ ქართველობა აღმოჩნდა უფრო გამძლე და შეუდრეკელი ეროვნული სუბსტანციის მქონე, ვიდრე ბევრი მასზე მრავალრიცხოვანი და ძლიერი ერი მსოფლიო ისტორიისა.

ვერავითარმა ოკეანემ ხალხთა პირველი მიგრაციისა, ვერავითარმა სისხლის ტბებმა, ჩვენს მიწა-წყალზე გუბეებად რომ იდგა შემოსევების დროს, ვერ აიძულეს ჩვენი წინაპარნი ეს მშვენიერი კუთხე ქვეყნისა სხვისთვის დაეთმოთ და თვითონ კი, ბევრი სხვა ხალხების მაგალითის მიხედვით, გადახვეწილიყვნენ უცხო ქვეყანაში ახალი საბინადროსა და ახალი მამულის საძებნელად.

საკაცობრიო ისტორია საინტერესო მაგალითს გვაძლევს სხვადასხვა ერთა გამძლეობისა და ეროვნული სუბსტანციის მყარობის შესწავლისათვის. შეუპოვარსა და ულმობელ ბრძოლებში საუკეთესო და შესაფერებელი ადგილის მოპოვებისათვის მზის ქვეშეთში უდიდესი ერები მსოფლიო ისტორიისა დაიღუპნენ, გადაგვარდნენ ან კიდევ გატიალდნენ და ისე დაჩაჩანაკდნენ, რომ მათი ნაშთი დიდ წინაპართა მცირე აჩრდილსაც კი აღარ წარმოადგენს. მაგალითად, დღევანდელი ფარსები და ირანელები ძველი ირანის და მიდიის მფლობელი ერების მიმართ, ანდა ასურელები — დღეს იქაურ გადარჩენილნი — ძველი ასურეთისა და ბაბილონის მიმართ.

ისტორიამ იცის მეორე მაგალითი, დამახასიათებელი მეტწილად მცირერიცხოვანი ერებისა. ამათ საშუალება ჰქონდათ გიგანტების მოძალების დროს ქამელეონის როლი შეესრულებინათ, პოლიტიკური ანი — ისტორიული ორიენტაციის ფერი ეცვალათ წამდაუწუმ.

ასეთი ერები აქა-იქ გადარჩნენ, და ისტორის კულუარებში მიმალულებმა ახალ დრომდე მოაღწიეს, მაგრამ ისინი სამშობლო მიწის ზედაპირიდან გადაიხვეწნენ, მთელ მსოფლიოში მიმოიფანტნენ, დაკარგეს რა მტკიცე დასაყრდენი პირვანდელ დასაბამისა და მიწის ოხშივარისა. ადვილად შეეზარდნენ უცხო გარემოებას და იქცნენ ნეგატიურ ელემენტად ისტორიისა, დაკარგეს საკუთარი ეროვნული სუბსტანცია.

ამ თვალსაზრისით რომ მსოფლიო ისტორია განვიხილოთ და მომხდარ ამბავთა მრუდე სისტემაში მოვიყვანოთ, საინტერესო სურათს მივიღებთ: ძველი ეგვიპტელები, ხეთელები და რომაელები ტიტანურ ბრძოლებში დაიღუპნენ და როგორც ეროვნული სუბსტანცია გაჰრნენ. ასურელები, მიდიელები, ლიდიელები გადაგვარდნენ და სხვა ეროვნული სუბსტანციის ელემენტებად იქცნენ.

სპარსელები, არაბები და ქართველები გადარჩნენ, ასე თუ ისე გადაურჩნენ ულმობელ ქარიშხალს ისტორიისა და ის მიწა შეინარჩუნეს, სადაც დასაბამისას მათმა წინაპრებმა ადამიანის დასამკვიდრებელი ბინა ააგეს პირველად, ე. ი. ის ლანდშაფტი, რომლის ზეგავლენით გაფორმდა მათი ეროვნული სუბსტანცია.

რასაკვირველია, ისტორიის ქარტეხილთან ბრძოლებში ამ ხალხებმაც ბევრი ტრანსფორმაცია გაუცდიდეს, ბევრჯერ დაეცნენ, აღდგნენ, დასუსტდნენ და წელში გასწორდნენ, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, მამა-პაპათა ტრადიციული საფლავი და სამშობლო მიწა ზოგ შემთხვევაში ნაწილობრივ და ზოგშიაც მთლიანად შეინარჩუნეს.

უდავოა, რომ ბერძნებისა და ქართველების ისტორია თავისებურ მოვლენას წარმოადგენს მსოფლიო ისტორიაში. ბევრ მოვლენაში დიდი განსხვავების მიუხედავად, მიუხედავად მოქმედების მასშტაბისა და ისტორიული გავლენის დიდი განსხვავებისა, ერთ ძირითად საკითხში ამ ორი ტალხის ისტორია ძალიან მსგავს ფენომენს წარმოადგენს.

ვერავითარმა შეუპოვარმა ბრძოლამ და ვერავითარმა უძლიერესმა მოწინააღმდეგემ ვერ აიძულა ეს ხალხები მიეტოვებინათ ლაკვარდი ცისა, რომლის ქვეშ მათი ეროვნული სუბსტანცია წარმოიშვა და რომელშიც მათი წინაპარი აღიზარდა.

ბერძნების ისტორია, რასაკვირველია, უფრო მრავალმხრივია, მდიდარი, მეტი შთაგონების შემცველია, ვიდრე ქართველების, მაგრამ ქართველობასაც სამი ათასი წლის მანძილზე ეხეთქებოდა უძლიერესი ტალღა მსოფლიო ისტორიისა. ბევრი ძლიერი მოწინააღმდეგე ლამობდა მის აღმოფხვრას, მისი სახლ-კარის გატიალებას, კოლხიდისა და ივერიის დაპყრობას, მაგრამ ქართველობა მისი ისტორიული საბინადროდან ვერ განდევნა საბოლოოდ ვერავითარმა მრისხანე სტიქიონმა მსოფლიო ისტორიისა. ბევრი დაკარგა, ბევრად შეიკვეცა, მაგრამ ხალხის არსებობის სტილი და კოლხიდის და ივერიის ბარი და მთა მაინც ქართველობას შერჩა და ასე მოაღწია მან ინდუსტრიის და კომუნიზმის საუკუნემდე.

* * *

სურათზე: პროფესორი მოსე გოგიბერიძე.

სარაიონო გაზეთებიდან

მაიაკოვსკი. სარაიონო ბიბლიოთეკამ წიგნის ფონდი უკანასკნელ ხუთ წელიწადში რვა ათასი ცალით გაზარდა. გამოწერილი აქვს 56 ჟურნალი და გაზეთი. ახლა ბიბლიოთეკას ორი ათასზე მეტი მუდმივი მკითხველი ჰყავს.

ზაფხულის დღეებში, როცა კოლმეურნეთა დიდი ნაწილი ზვრებსა და ბაღებშია, შემოღებულია წიგნის დატარება. მოქმედებენ მოძრავი ბიბლიოთეკები და წიგნის გაცემის პუნქტები. უკვე შექმნილია ოცი ასეთი პუნქტი.

ბიბლიოთეკამ შემოიღო „ბრიგადისა და ფერმის დღე“. ყოველ ორ კვირაში ბრიგადებსა და ფერმებში ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, თემატური საღამოები, წიგნების კითხვა — განხილვა.

სპეციოსლოს სვე

№ 7, ივნისი, 1965 წ.

მუსიკის გაზაფხული



ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეორე მუსიკალური ფესტივალი

საუკუნეების მანძილზე გამოწრთობილი და განმტკიცებული მეგობრობით და მჭიდრო კულტურული ურთიერთობით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან ამიერკავკასიის მოძმე ხალხები.

რამდენიმე დღეა დამთავრდა **ამიერკავკასიის მეორე მუსიკალური ფესტივალი.**

მეორე მუსიკალური ფესტივალის დიდ მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მის სტუმართა შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის გამოჩენილი კომპოზიტორები და მუსიკათმცოდნეები, აგრეთვე ბულგარეთის, რუმინეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, მონღოლეთის, ამერიკის შეერთებული შტატების და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების მუსიკოსები.

ფესტივალი სამ ეტაპად ჩატარდა.

თბილისში ფესტივალის მეორე ეტაპზე სტუმრებმა და დედაქალაქის მშრომელებმა მოისმინეს ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებები.

ფესტივალის დღეებში საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში სსრ კავშირის სახალხო არტისტის, გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის **ალექსი მაჭავარიანის** თავმჯდომარეობით, იმართებოდა პრესკონფერენციები, სადაც სტუმრები განიხილავდნენ მოსმენილ და ნახულ ნაწარმოებებს.

სურათზე: მორიგი პრეს-კონფერენციის სიტყვით გამოდის სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი **ტიხონ ხრენიკოვი,** მარჯვნივ—**ალ. მაჭავარიანი.**

სიმღერისა და ყვავილების ზეიმი



ყვავილების დღესასწაული დიდი ხანია ტრადიციად იქცა, ახლა კი მას სიმღერაც შეემატა და წელს, 30 მაისს პირველად გაიმართა სიმღერისა და ყვავილების დღესასწაული.

ნამდვილი ზეიმი იყო.

ყველგან ყვავილები; ქუჩებსა და სახლებზე, მოედნებზე. ყვავილების გამოფენამ კი, რომელიც სურათების გალერიაში მოეწყო, ყველა მოაჯადოვა. თბილისის ორგანიზაციებისა და ცალკე მოხალისე მეყვავილეების მიერ შექმნილმა ყვავილთა გამოფენებმა ნამდვილი პოეტური სიმფონია შექმნეს.

„ქარიშხალას“ სტადიონზე მრავალმა ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი. აქ ღია ცისქვეშ თბილისის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეთა შვიდათასიანმა და მოსწავლეთა ოთხათასიანმა გუნდმა შეასრულა ქართველ კომპოზიტორთა ახალი სიმღერები.

მოედნის შუაგულში მოწყობილ დიდ ესტრადაზე სიმღერას ცვლის ცეკვა, ცეკვას სიმღერა. გაიმართა კონკურსი ცეკვა „ქართულის“ საუკეთესო შესრულებისათვის.

გვიან საღამომდე ისმოდა სიმღერები, ირეოდა ყვავილთა ფერი და სურნელი.



ეს ორი სურათი (ზემოთ და ქვემოთ) ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა სიმღერის და ყვავილების დღესასწაულის დროს გადაიღო თბილისის „ქარიშხალას“ სტადიონზე.

ახალი ქსოვილი


ჟუმაისი. აბრეშუმის კომბინატის სართავი წარმოების უფროსმა ნიკოლოზ კაზბეკოვმა ნიტრონის ბოჭკოს შეურია ბუნებრივი ბოჭკო და მიიღო მაღალხარისხოვანი ნართი. ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწიეს საფეიერო მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებმა.

საქსოვ სამჭროში სპეციალურად გაწყობილ დაზგაზე ამ ნართისაგან დამზადდა ქსოვილი, რომლისგანაც შეიკერება საუკეთესო ხარისხის ქალის კაბა და კოსტიუმი. ახალი სახის ქსოვილი გაცილებით უკეთესია, ვიდრე ლავსანი: უფრო ფაქიზი, ლამაზი და გამძლეა, არ იჭმუჭნება, გარეცხვის შემდეგ დაუთოება არ სჭირდება.

ირემი და ხავსი

ცხაკაია. ხორშის ეთერზეთოვანთა ქარხანამ დაამზადა ველური ირმის 60 ტონა ყვავილი და ნორჩი ყლორტი. ირმის ზეთის გარდა აქ სხვა პროდუქციასაც აწარმოებენ. აქ რესპუბლიკაში პირველად ითვისებს მუხის ხავსის გადამუშავების ტექნოლოგია. უკვე დამზადებულია კოლხეთის „მუხნარის“ ასობით კილოგრამი „რბილი პროდუქცია“. ხავსისაგან ქარხანა ამზადებს აგრეთვე ექსტრაქტს „ტყის სურნელი“.

ᲣᲮᲝᲗᲐ ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ



დედა ქართვლისა



როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, შ. რუსთაველის სახელობის რესპუბლიკური პრემიის პირველ ოთხ ლაურეატს შორის არის ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი მოქანდაკე **ელგუჯა ამაშუკელი,** რომელმაც ეს დიდი ჯილდო მიიღო სკულპტურისათვის „ქართვლის დედა“.

..ვინც კი ამ უკანასკნელ წლებში თბილისში ყოფილა, იგი უმალვე შენიშნავდა და ყურადღებას მიაქცევდა ნარიყალას ფონზე ალმართულ, თეთრად მოელვარე დიდ ქანდაკებას. სწორედ ეს არის ელგუჯა ამაშუკელის რუსთაველის სახელობის პრემიით დაჯილდოებული ნაწარმოები.

ახალგაზრდა ხელოვანის შემოქმედებითმა ტალანტმა ამ სკულპტურაში ოსტატურად შეაერთა ისტორიული და თანამედროვეობის რეალიები, მისცა მათ ფიგურალური გამოკვეთილობა, ხოლო სახეს — ბოლომდე გააზრებული ღრმა შინაარსი. ქართველი დედა წარმოდგენილია მისთვის ისტორიულად დამახასიათებელი ტიპური ნიშნებით: სამშობლოს ერთგულებით, წმიდა, დედის მაღალი მოვალეობის შეგნებით, ქალური ქედმამოსილებით, რისთვისაც მოქანდაკემ თავის გმირს მისცა, რუსთაველური გამოთქმა რომ ვიხმაროთ „საროს ტანი“, და შთამაგონებელი მშვენიერი სახე.

მარჯვენა ხელში დედას მტრის განმგმირავი მახვილი უპყრია, ხოლო მარცხენა ხელში — სამეგობროდ გაწვდილი ღვინის ფიალა. ეს ნამდვილად არის, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე იტყოდა, ქართვლის დედა! ძუძუ ქართვლისა...

ელგუჯა ამაშუკელის ქანდაკება „ქართვლის დედა“ ჰეშმარიტად ღრმა პატრიოტული და ჰუმანისტური აზრით შთაგონებული მაღალმხატვრული ქმნილებაა. იგი არა მარტო ჩვენი მარად დაუბერებელი დედაქალაქის — თბილისის ღირსეული ემბლემაა, არამედ ქართველი ხალხის ეროვნული ხასიათის საუკეთესო თვისებათა — მისი გმირული სულისა და ვაჟკაცობის, პატრიოტული შემართების, სიკეთისა და სტუმართმოყვარეობის დიდებული გამოხატულებაც.

• • •

სურათებზე: მარცხნივ—ქანდაკება „ქართვლის დედა“, მარჯვნივ, ზემოთ — ქანდაკების ავტორი ელგუჯა ამაშუკელი.


შენობებს აპირკეთებს... ცეცხლი

აღმოჩნდა, რომ ყოვლისგამანადგურებელ და მომხპობ ალს შეუძლია მისცეს ასაწყობი რკინაბეტონის შენობებს გამძლეობა, სილამაზე.

თბილისის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საშენ კონსტრუქციათა განყოფილების არქიტექტორმა გ. უიფშიძემ წინადადება წამოაყენა გამოყენებულ იქნას ცეცხლოვანი სტიქიის სიმძლავრე ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციათა ზედაპირზე დამცველ-დეკორაციული ფენის შექმნისათვის, რომლებსაც ამზადებენ ინდუსტრიული მეთოდებით სახლთმშენებლობის კომბინატებში. ეს სიახლე საშუალებას მისცემს მშენებლებს ახლა ქარხნის პირობებში მექანიზებული მეთოდით მოაპირკეთონ შენობათა გარეთა კედლის პანელები. ადარ არის საჭირო ბუნებრივი ქვის ან მინის მოზაიკისაგან დამზადებული ფილებით თანამედროვე შენობათა მოპირკეთება. საჭირო აღარ იქნება ამ მიზნისათვის აგრეთვე არც შელესვა, არც სილიკატების საღებავები. შენობათა ფასადების მოპირკეთების მთელი პროცესისათვის საჭირო იქნება მხოლოდ ქარხნის საამქროში სახლების ბეტონის მზა დეტალების გაზის ალით მოპირკეთება.

პანელის კედლების გარეთა ზედაპირის შემოლღობის პროცესში წარმოიქმნება თავისებური მბრწყინავი ჭიქურის თხელი ფენა, რომელსაც ცისარტყელას ყველა ფერი დაჰკრავს. ეს სილამაზეს მატებს შენობებს, იცავს წვიმისაგან და მზის სხივებისაგან.

შენობათა ფასადების დამცველ-დეკორაციული მოპირკეთების ახალ მეთოდს განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენებენ საბჭოთა კავშირის სამხრეთ რაიონებში — ამიერკავკასიასა და შუა აზიაში. ამ რაიონებში, რომლებშიც უხვად არის სითბო და მზის სინათლე, სახლების გარეთა კედლებს ამზადებენ ქარხნებში რამდენადმე უფრო სქელს, ვიდრე ჩრდილოეთ რაიონებში. ეს ღონისძიება იცავს ნაგებობებს ზედმეტი ცდადახურებისაგან, დამცველ - დეკორაციულ ფენას სილამაზის გარდა აქვს აგრეთვე საუცხოო ამრეკლავი თვისება. მისი ეს თვისება საშუალებას მისცემს მშენებლებს შეამცირონ კედლების თბოგამტარობა და, მაშასადამე, მათი სიზრქეც. ამის შედეგად სახლთხო მეურნეობა დაზოგავს ბევრ სახსრებს.



მოსკოვი. ცხრა საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა 27 მაისს განუწყვეტელი ტრანსლაცია ფერადი ტელეპროგრამებისა კავშირის საბჭოთა თანამგზავრის „მოლნია-1“-ის მეშვეობით. გადაცემებს აწარმოებდა მოსკოვის ტელეცენტრის ფერადი ტელევიზიის საცდელი სადგური, რეტრანსლაციას ახდენდა თანამგზავრის საბორტო სისტემები, ხოლო შემდეგ მოსკოვიდან ათას ხუთას კილომეტრზე მყოფი მიმღები პუნქტის მეშვეობით სახმელეთო რადიორელეური ხაზებით გადაცემები უკან ბრუნდებოდნენ. ამასთან „კოსმოსური რადიომარყუჟის“ სიგრძე 80 000 კილომეტრზე მეტს აღწევდა.

უკანასკნელ სეანსზე, რომელსაც საბჭოთა უურნალისტები ესწრებოდნენ, დემონსტრირებულ იქნა ფერად გამოსახულებათა (დიაპოზიტივებისა და კინოლენტების) გადმოცემა, რომელშიც გამოყენებული იყო ფერადი ტელევიზიის სხვადასხვა სისტემები: ამერიკული ნტსსი, ფრანგული — სეკამ-ი და საბჭოთა მეცნიერებისა და ინჟინრების მიერ შემუშავებული სისტემა.

27 მაისის წარმატებითი ექსპერიმენტით დამთავრდა თანამგზავრ „მოლნია-1“-ის მეშვეობით ფერადი კოსმოვიზიის სასინჯი სეანსების პირველი სერია. ტელეგადაცემათა ხარისხი მუდამ კარგი იყო. თანამგზავრის საბორტო სისტემები და კავშირის სახმელეთო კომპლექსების აპარატურა ნორმალურად მუშაობდნენ.

სურათზე: გადაცემის ერთ-ერთი მომენტი.

საზაფხულო მოგზაურობა

ზაფხული დადგა, და სულ უფრო მეტი ტურისტული ჯგუფი მიდის საქართველოდან სამოგზაუროდ. ბულგარეთში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მოგზაურობიდან უკვე დაბრუნდა საქართველოს 200-მდე მშრომელი.

ჩვენი რესპუბლიკის 32 მედიცინის მუშაკი იმყოფება პოლონეთში, საიდანაც ჩეხოსლოვაკიაში წავა. ამ დღეებში თბილისიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიაში გაემგზავრა 30 ტურისტი.

საქართველოს პროფკავშირებმა მიიღეს ტურისტული საგზურები მთელ რიგ ქვეყნებში. 25 ივნისსა და 21 სექტემბერს ბულგარეთში ჩავა ქართველ ტურისტთა ორი ჯგუფი, ბულგარეთში 7 დღის მოგზაურობის შემდეგ ტურისტები 13 დღეს დაისვენებენ „მზიური ნაპირის“ საუკეთესო პანსიონატებში.

ივლისსა და აგვისტოში ქართველი ტურისტები ჩავლენ ბუქარესტში, პლოეშტში, ბრაშოვში, სინაპსა და რუშინეთის სხვა ქალაქებში. აქ ისინი 20 დღეს დარჩებიან, აქედან 13 დღეს სახელგანთქმულ კურორტ ეფორიაში დაისვენებენ.

ძალიან საინტერესოა საზღვაო მოგზაურობა იაპონიის გარშემო და აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებში. ოქტომბერში ქართველი ტურისტები წავლენ ტოკიოში, კობეში, ოსაკაში, ხიროსიმაში, ნაგასაკსა და იაპონიის სხვა ქალაქებში, დაათვალიერებენ ამ უძველესი ქვეყნის ღირსშესანიშნავ ადგილებსა და მატერიალური კულტურის ძეგლებს, მუზეუმებსა და გამოფენებს, სანახაობებს.

საზღვაო მოგზაურობა აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებში 1 ნოემბერს დაიწყება ქალაქ ოდესიდან მშვენივრად მოწყობილ თბომავალ „ლატვიით“.

ტურისტები დაათვალიერებენ სტამბოლის, ათენის, ბეირუთის, ალექსანდრიის ძველ ძეგლებს, ეგვიპტის პირამიდებსა და მუზეუმებს, გაივლიან სუეცის არხსა და წითელ ზღვას, გაეცნობიან აფრიკისა და არაბეთის ნახევარკუნძულის ხალხთა ყოფაცხოვრებას. მოსკოვში ტურისტები თვითმფრინავით დაბრუნდებიან.

ამერიკელი მეცნიერის აზრით

— საქართველოს ფიზიკის ინსტიტუტს იცნობენ ამერიკელი მეცნიერები, — განაცხადა გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში ამერიკელმა მეცნიერმა, ჩიკაგოს უნივერსიტეტისა და ფერმის სახელობის ატომური კვლევის ინსტიტუტის თანამშრომელმა პროფესორმა **კლაიდ ჰატჩისონმა.**

ამერიკის შეერთებული შტატების მკვლევარები, რომლებიც ფიზიკის დარგში მუშაობენ, კარგად იცნობენ პროფესორ ე. ანდრონიკაშვილსა და მის კოლეგებს — პროფესორ გ. ხუციშვილს, ნ. პოლიტოვს, გ. ჩიქოვანსა და ბევრ სხვას. მსურდა აქ ჩამოსვლა, რათა უფრო ახლო გავცნობოდი ლაბორატორიებსა და იმ მეთოდებს, რომლებითაც საქართველოში წარმოებს ორიგინალური მუშაობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა პროფესორ ე. ანდრონიკაშვილის კვლევა დაბალ ტემპერატურათა ფიზიკის დარგში. პროფესორმა ე. ანდრონიკაშვილმა ყოველმხრივ შეისწავლა მოვლენები, რომლებიც დაკავშირებულია გრიგალთან თხევად ჰელიუმში, შეისწავლა მათი წარმოშობა და განვითარება.

პროფესორი კლაიდ ჰატჩისონი ფიზიკოს-ქიმიკოსია. მან პირველმა აღმოაჩინა მღებავი ცენტრების ელექტრონულ-პარამაგნიტური რეზონანსის სპექტრი ტუტოვან-ჰალოიდურ კრისტალებში. ამ ბოლო წლებში მეცნიერი ძირითადად იკვლევს ორგანულ მონოკრისტალებს ელექტრონულ-პარამაგნიტური რეზონანსის მეთოდით. ამ მეთოდით შეიძლება დიდმნიშვნელოვანი ცნობები მივიღოთ მყარი და თხევადი სხეულების აგებულებისა და თვისებების შესახებ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში ამერიკელმა მეცნიერმა წაიკითხა მოხსენება ელექტრონულ-პარამაგნიტური რეზონანსის მეთოდის გამოყენების შესახებ ორგანულ მონოკრისტალებში ენერგიის გადაცემის გამოსაკვლევად. კლაიდ ჰატჩისონმა და მისმა მოწაფეებმა გაზომეს ორგანულ კრისტალებში აგზნების გადაცემის სიჩქარე. ამისთვის ორგანულ კრისტალებში მათ შეჰყავდათ დამატებითი ორგანული ნივთიერებანი — ნაფტალინი და ფენონტრენი. წარმოშობილი აგზნება იწვევს კრისტალის ნათებას (ფოსფორ-ესცენციას), რომელიც სიბნელეში ჩანს და გრძელდება, სანამ ეს პროცესი მიმდინარეობს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერი წაიკითხავს ლექციას თემაზე: ელექტრონულ-პარამაგნიტური რეზონანსის მეთოდებით მონოკრისტალებში ორგანული მოლეკულების ძირითად ტრიპლეტურ მდგომარეობათა კვლევა.

მზიური ქალაქი

საუკუნოვან ფიჭვებზე მაღლა აღმართულან კოშკურა ამწეები. აქ რელიეტურ კორომში შავი ზღვის ნაპირას მიმდინარეობს სახალხო კურორტ ბიჭვინთის უზარმაზარი მშენებლობა. ცნობილი ფიჭვნარის პეიზაჟში დღითიდღე სულ უფრო მკაფიოდ მოჩანს მომავალი მზიური ქალაქის კონტურები. ლაჟვარდოვან ნაპირთან გარინდულან მრავალსართულიანი სასტუმრო პანსიონატების რკინაბეტონის კარკასები. აქ აშენდება შვიდი თოთხმეტსართულიანი სასტუმრო. თითქმის 5 ათასი კაცი განლაგდება ჭათქათა ჯანმრთელობის კერების კომფორტულ ნომრებში. ცოტა მოშორებით შენდება კურზალი რესტორანითა და კინოთეატრით, ზამთრის საცურაო აუზი.

იქ, სადაც წინათ იყო უდაბური ადგილები, უძველესი პიტიუსის ნანგრევთა მახლობლად, გაშენდა კეთილმოწყობილი დაბა მომსახურე პერსონალისათვის. აქ ახალმოსახლენი უკვე მიიღო ცხრა 44 ბინიანმა შენობამ. უახლოეს დროში საექსპლოატაციოდ გადასცემენ საბავშვო ბაღს, სკოლას, ფაბრიკა-სამზარეულოს, სამრეცხაოს, სასადილოს. კურორტის ენერგომომარაგებისათვის აქ მთების გავლით გაყვანილია ელექტროგადაცემის 160 კილომეტრიანი მაღალი ძაბვის ხაზი.

სურათზე: ახალი 14-სართულიანი სახლის მშენებლობა ბიჭვინთაში.





მოვიდა მცხუნვარე თბილისური ზაფხული. დედაქალაქის მშრომელებმა ბაღებსა და პარკებს მიაშურეს. ისინი სიამოვნებით ატარებენ დასვენების დღეებს თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

სურათზე: ჩანჩქერი თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

ყინვამ რომ ვერ შეაწუხოს

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შეიმუშავეს ყინვისაგან ციტრუსოვანთა დაცვის ახალი მეთოდი. ამ მეთოდის ავტორია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი შ. კერესელიძე, რომელმაც გამოიყენა რეაქტიული თვითმფრინავების შედარებით მცირე სიმძლავრის 10.000 ცხენის ძალის მქონე ჩამოწერილი ძრავები.

ეს ძრავები განლაგებულია პლანტაციის შუაგულში ხეების ვარჯის დონეზე და თავისი მოძრაობით იწვევენ გამთბარი ჰაერის რადიალურ მოძრაობას. ერთ საათში ასეთი ძრავი ოცდახუთ მილიონ კილოკალორიას აძლევს გარემოს. ცხელი ჰაერის მიწოდების რადიუსია 500-600 მეტრი. ეს საკმარისია 20-30 ჰექტარ ციტრუსოვანთა პლანტაციის გასათბობად.

— პრაქტიკულად ძრავებს შეუძლიათ განუსაზღვრელი დროის მანძილზე იმუშაონ,— განაცხადა „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში პროფესორმა შ. კერესელიძემ. — ძრავების საშუალებით თვითეული ჰექტარი პლანტაციის გათბობა 300-400 მანეთი დაჯდება. ეს კი ბევრად იაფია, ვიდრე მცენარეების სამფენიანი დოლბანდით შეფუთვა, რასაც მეციტრუსეები იყენებენ.

ყინვისაგან ციტრუსოვანთა დაცვის ახალმა მეთოდმა სოფლის მეურნეობის პრაქტიკოსთა და სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო. ბევრი ხალხი შეიკრიბა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პლანტაციაში, სადაც რეაქტიული თვითმფრინავის ძრავის გამოცდა მოეწყო. შედეგი შესანიშნავი იყო. სამ წუთში გახურებული ჰაერის ნაკადებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს გარემოს ტემპერატურა.

მიმდინარე წელს რეაქტიული თვითმფრინავების ძრავები პირველად დაიცავენ ყინვისაგან კოხორის საბჭოთა მეურნეობის ციტრუსოვანთა პლანტაციებს.

სპორტული მიმოხილვა

გ. სალარაძე მსოფლიოს ჩემპიონი ▲ სინანულით და სიხარულით. ▲ თბილისის სპორტის სასახლე იდეალურია. ▲ თასი ახლოს არის

ინგლისის ქალაქ მანჩესტერში ეს-ეს არის დამთავრდა მსოფლიოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში სამნი იყვნენ ჩვენი რესპუბლიკიდან; შ. ლომიძე, გ. სალარაძე და ზ. ბერიაშვილი. თუ ლომიძე წარუმატებლად გამოვიდა, სამაგიეროდ გურამ სალარაძემ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ უძლიერესია ქვეყანაშუალო წონაში. მან უკან ჩამოიტოვა ირანელი მ. სანადკარანი და იაპონელი ი. ვატანაბე და მეორედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის საპატიო ტიტული.

ზ. ბერიაშვილმა (მსუბუქი წონა) ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

საქართველოს დედაქალაქში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატის წინასწარი შეხვედრები. აქ პირველი ადგილი იუგოსლაველებმა დაისაკუთრეს, მეორე ადგილზე პოლონელები გამოვიდნენ. მოსკოვში კი უკვე დამთავრდა ფინალური შეხვედრები და საბჭოთა გუნდი მერვედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი. გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ თბილისის დინამოელის ზურაბ საკანდელიძის შესანიშნავ თამაშს.

აი რა განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ფიბა-ს პრეზიდენტმა უ. ჯონსმა:

— თბილისმა შესანიშნავად გაამართლა თავისი რეპუტაცია როგორც კალათბურთის ქალაქმა. სპორტის სასახლის დარბაზი იდეალურია კალათბურთისათვის, მაყურებელი კი პრიმა. მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ჩემპიონატის ერთი ნახევარი თბილისში მიმდინარეობდა.

დიდი ხნის შესვენების შემდეგ თბილისში კვლავ მოვიდა ფეხბურთი. ალბათ სწორედ ამ შესვენების ბრალი იყო ის თამაში, რომელიც „დინამომ“ უჩვენა თავის გულშემატკივრებს. სენსაციური გამარჯვება მოიპოვა ამ დღეს ლენინგრადის „ზენიტმა“, რომელიც თბილისელთაგან განსხვავებით პასუხისვებითა და მონდომებით იბრძოდა.

მოსკოვში, სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალში თბილისელთა მოწინააღმდეგე ადგილობრივი არმიელები იყვნენ. ეს სეზონის ყველაზე ლამაზი თამაში იყო. მრავალი მილიონი მაყურებელი ადევნებდა ტელევიზორით თვალს ბრძოლის მსვლელობას. თანამედროვე ფეხბურთის მიმართ ხშირად გაისმის საყვედური; ცოტა გოლი გადის, თამაშმა დაკარგა მიმზიდველობა და ა. შ. ეს მატჩი კი ნამდვილად, ჭეშმარიტი სპექტაკლი იყო, რომლის სადირიჟორო ჯოხი თბილისელებს ეპყრა ხელთ.

პირველი ბურთი ი. დათუნაშვილმა გაიტანა, რამდენიმე წუთის შემდეგ მოსკოველმა კაზაკოვმა გაქვითა გოლი. და აქ ვ. ბარქაიამ ისახელა თავი. მოულოდნელი და ძლიერი დარტყმით საკმაოდ შორი მანძილიდან იშვიათი სილამაზის ბურთი გაიტანა. 2:1, ასე დამთავრდა პირველი ნახევარი.

მეორე ტაიმის პირველსავე წუთზე ს. მეტრეველი სამამდე ზრდის ანგარიშს, 50-ე წუთზე კი თბილისელები ათნი რჩებიან (მ. მესხი მსაჯმა გაძევა მინდვრიდან). არმიელთა დაცვამ შვებით ამოისუნთქა და მოსკოველებმა ხანგრძლივი შტურმი დაიწყეს, რომელმაც შედეგიც მოიტანა. ბ. სიჭინავამ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

არმიელები კვლავ უტევენ, მაგრამ მტკიცედ იცავს კარს ს. კოტრიკაძე. კონტრშეტევები კი მეტად სახიფათოა. ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევა ს. მეტრეველმა გოლით დაგვირგვინა—4:2. ლამაზი გამარჯვებაა, მითუმეტეს, რომ დინამოელებმა მართლაც შესანიშნავი ფეხბურთი აჩვენეს.

ო. ლორთქიფანიძე.

თბილისური ჩარხები

60 მილიმეტრი დიამეტრი მილების გასაჩარხი, შიგსაჩარხი და საჭრელი ნახევარავტომატი დაპროექტდა და იქმნება თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში. თავისი საექსპლოატაციო თვისებებით იგი არ ჩამოუვარდება საუკეთესო მსოფლიო ნიმუშებს.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ახალი ჩარხები, რომლებსაც ქარხნის კონსტრუქტორები ქმნიან, გაცილებით უკეთესი იქნება ლითონდასამუშავებელი მოწყობილობის სტანდარტებთან შედარებით.

მრავალი წელია ქარხანა უშვებს „160“ მოდელის სახარატო ხრახნსაჭრელ ჩარხებს. ეს ჩარხები კარგი გამოდგა, მაგრამ დღეს აღარ შეესაბამება წარმოების გაზრდილ მოთხოვნებს. ამასთან დაკავშირებით წარმოებს ამ ჩარხის სრული მოდერნიზაცია. სიჩქარეთა კოლოფში, მაგალითად, გამოიყენებენ გადიდებული კლასის საკისრებს, საყრდენი ყელების ხანგამძლეობა გაიზრდება სამჯერ, ხოლო მომართული სადგარებისა 2,5-ჯერ. მოდერნიზებულ სახარატო ჩარხს უკვე დაარქვეს სახელი — „მ 63“. მისი სერიული გამოშვება მომავალ წელს დაიწყება.

ჩვენს მკითხველებს

იმასთან დაკავშირებით, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა გაზეთ „სამშობლოს ხმის“ მკითხველთა რიცხვი, რაც თავისთავად მოწმობს ჩვენი თანამემამულეების დიდ ინტერესს სამშობლო ქვეყნისადმი, ჩვენი გაზეთი მაისიდან ორკვირეული გახდა. გაზეთის პერიოდულობის გაზრდა, ცხადია, საშუალებას მოგვცემს უფრო ფართოდ და დროულად მოგითხროთ საქართველოსა და ჩვენი ხალხის დიდ წარმატებებზე კულტურულ-სამეცნიერო და სამეურნეო დარგში, მოგითხროთ მის ნათელ ყოფა-ცხოვრებაზე.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე— 50,59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.